სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/05

(ოქმი N5)

ქ. ბათუმი 30 აპრილი 2020 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მიერ გარიგებების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის N02-19/975 და 29 აპრილის N02-19/1008 წერილების საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორს, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, განახორციელოს შემდეგი ხელშეკრულებების გაფორმება:

ა) აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სამჯერადი საჯარო გადაცემის ლიცენზია: ქართულ ენაზე თარგმნა-გახმოვანებული BBC დოკუმენტური ფილმები - 70 ერთეულის შესყიდვა კონკურსში გამარჯვებული: შპს „ბრავო რექორდს"-ისგან (ს/კ 404868639). ხელშეკრულების ღირებულება: 129 500 ლარი;

ბ) აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სამჯერადი საჯარო გადაცემის ლიცენზია: ქართულ ენაზე თარგმნა-გახმოვანებული მინი სერიალები, ჯამში 79 სერიის შესყიდვა კონკურსში გამარჯვებული: შპს „ბრავო რექორდს"-ისგან (ს/კ 404868639). ხელშეკრულების ღირებულება: ხელშეკრულების ღირებულება: 137 460 ლარი.

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის განმავლობაში მისი გამოქვეყნების დღიდან;

3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge'';

4. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი